603ლ/10477


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 აპრილი, კვირა, 1990 წ.
№ 61 10 230) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„შევარდენი" (თბილისი) — „ცხუმი" (სოხუმი) 1:1 (0:0).**

თბილისი, შევარდენის სტადიონი. 31 მარტი.

„შევარდენი": დოლიძე, შალამბერიძე, ხამხარაძე, ჩხეიძე, ტარტარაშვილი, ჯოხაძე, ჟორდანია, კაკილაშვილი, ქვანია, ყიფიანი.

„ცხუმი": ბენიძე, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, ჭელაძე, გელენავა, გოგრიჭიანი (გადელია), მორგოშია, პაპასკირი.

მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

გააფრთხილეს ტარტარაშვილი.

**თბილისის** „შევარდენის" სტადიონი" ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩს. სპორტული ბაზა განახლებულია, სათამაშო მინდორი საუკეთესო მდგომარეობაშია, დაგებულია ახალი სარბენი ბილიკი, ტრიბუნები შეღებილი და შეკეთებულია, მაყურებელთათვის მუშაობდა ბუფეტი, გამოუშვეს მატჩის პროგრამა. ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა შექმნილი მატჩზე მოსული გულშემატკივრისთვის.

საინტერესო, დაძაბული და შინაარსიანი გამოდგა თვით თამაშიც. სოხუმის „ცხუმის" შესახებ ჩვენ ამას წინათ ვწერდით, გუნდს გარკვეული სიძნელეები შეექმნა მას შემდეგ, რაც იგი გამოეყო სოხუმის „დინამოს", რათა მონაწილეობა მიეღო არა I ლიგის საკავშირო გათამაშებაში, არამედ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. ეს სიძნელეები ეხება გუნდის მოთამაშეებით დაკომპლექტებას, მაგრამ ამ მიმართებით „შევარდენსაც" აქვს პრობლემები, ვინაიდან იგი მხოლოდ ბოლო პერიოდში შეივსო საჭირო მოთამაშეებით. თუმცა, ყველაფერი ეს თვით თამაშს დიდად არ დასტყობია, იგი საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

სოხუმელმა ფეხბურთელებმა ტაიმი აქტიურად, ინიციატივიანად დაიწყეს და ჯერ კიდევ პირველ წუთებზე მეტად სახიფათო საგოლე მომენტი შექმნეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ინალიშვილი, შეტევისას რამდენიმე სახიფათო მომენტი ჰქონდათ გოგრიჭიანს, მორგოშიას, პაპასკირს. ტაიმი მთლიანად სოხუმელებისა იყო, მათ, უბრალოდ, ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება.

დაიწყო მეორე ტაიმი და პირველივე წუთზე, დაახლოებით 27-28 მეტრის მანძილიდან სტუმრების კარში დაინიშნა საჯარიმო. თბილისელებმა დარტყმა ჟორდანიას მიანდეს და მანაც უნაკლოდ დაარტყა მიზანში. ბენიძის თავგანწირულმა ნახტომმა წამით დაიგვიანა — 1:0.

ამის შემდეგ უპირატესობამ კარგა ხნით „შევარდენის" მხარეს გადაინაცვლა და ახლა სოხუმელებს მოუხდათ დაცვაზე ზრუნვა. მაგრამ ბოლო 15-20 წუთის განმავლობაში „ცხუმის" ფეხბურთელებმა კვლავ შეძლეს უპირატესობის მოპოვება, რასაც შედეგიც მოჰყვა: „შევარდენის" მცველმა უხეშად ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე ინალიშვილის წინააღმდეგ და მსაჯმაც სამართლიანად დანიშნა 11-მეტრიანი. მორგოშიას მიერ დარტყმული ბურთი დოლიძემ მოიგერია, მაგრამ ადგილზე აღმოჩნდა პაპასკირი და ზუსტი დარტყმით გაქვითა ანგარიში — 1:1.

**რ. ძორიძე.**

* * *

**სხვა მატჩების ვრცელ ანგარიშს „ლელოს" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

* * *

**გუშინ** გაიმართა საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები:

**„კოლხეთი"** (ხობი) — **„სამგურალი"** (წყალტუბო) 3:1

**„ქუთაისი"** (ქუთაისი) — **„ოდიში"** (ზუგდიდი) 2:1

**„ოზურგეთი"** (ოზურგეთი) — **„ამირანი"** (ოჩამჩირე) 1:0

**„სანავარდო"** (სამტრედია) — **„ლიახვი"** (ცხინვალი) 3:0

**„გურია"** (ლანჩხუთი) — **„დილა"** (გორი) 1:0

**„ბათუმი"** (ბათუმი) — **„ბორდა"** (რუსთავი) 1:0

**„მზიური"** (გალი) — **„ივერია"** (ხაშური) 1:0

# გამარჯვებას გამარჯვება ემატება

## კახა წაქაძის შესანიშნავი ნახტომები

**საუკეთესო** სპორტულ ფორმაშია ჩვენი ცნობილი მფრინავი მოთხილამურე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, 21 წლის ბაკურიანელი, დინამოელი, უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მოსწავლე კახა წაქაძე. სულ ახლახან მან საკავშირო VII სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიპოვა და ქვეყნის ჩემპიონი გახდა 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.



შემდეგ იყო კრასნოიარსკის ასეთივე სიმძლავრის ტრამპლინზე გამარჯვება საკავშირო თასის გათამაშების მესამე ეტაპზე.

და აი, კვლავ სასიხარულო ცნობა მივიღეთ, ამჯერად შორეულ იუჟნი სახალინსკიდან. საკავშირო შეჯიბრებაში გაზეთ „სოვეტსკი სახალინის" პრიზზე კ. წაქაძე ორივე ტრამპლინზე უძლიერესი იყო — 70-მეტრიანზე 207,9 ქულა მოაგროვა (ორივე ცდაზე 79,5 მეტრზე გადახტა), ხოლო 90-მეტრიანზე — 200,9 ქულა (ნახტომები 101 და 96,5 მეტრზე).

ორივე შემთხვევაში მეორე ადგილზე გავიდა კრასნოიარსკელი სერგეი იარუშევიჩი (202,9 და 199,0 ქულა), ხოლო მესამეზე — ალმაათელი ალექსანდრ ტარანოვი (199,7 და 195,0 ქულა).

ახლა კახა წაქაძე ემზადება ევროპის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპისთვის, რომელიც ამ დღეებში გაიმართება ფინეთის ქალაქ ლახტში.

„ლელოს" კორ. ტელეფონით.

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე:** კახა წაქაძე დაჯილდოების ცერემონიალზე სასპარტაკიადო ტისოვეცში.

ვასილი სიროტიაკის (სკოლე) ფოტო.

# შევარდნელთა წარმატება

**12-13 წლის** ჭაბუკები, როგორც იტყვიან, უკვე დიდი სპორტის კარიბჭესთან დგანან. თანატოლთა შეჯიბრებებში მოწმდება მათი შესაძლებლობები, ვლინდებიან ლიდერები, გამონაკლისი არც ნორჩ წყალბურთელთა ეს ტურნირი ყოფილა, რომელსაც ამ დღეებში თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების წყალბურთის სპორტულმა სკოლამ უმასპინძლა. თბილისელთა 4 გუნდის გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდა ერევნის გუნდიც.

ფინალურ პაექრობაში „შევარდენმა" (მწვრთნელი კ. კინწურაშვილი) 7:2 დაამარცხა „მთაწმინდა" და 8 ქულით I ადგილი დაიკავა. III იყო „იბერია", შემდეგ მოდიან ერევნის „ანი" და „საირმე".

**ნინო არაზაშვილი.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რაგბიში

**გუშინ** თბილისში, ვარკეთილის სარაგბო სტადიონზე გაიმართა რაგბიში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა. ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდი შეხვდა უნივერსიტეტელებს. გაიმარჯვეს ზოოვეტელებმა — 9:6 (3:6).

# ნოემბრისთვის გადაიდო

**დათქმულზე** ერთი კვირით ადრე, 21-23 მარტს, ლონდონში, წლიურ სხდომაზე შეიკრიბა რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) — ამ ორგანიზაციის წევრი რვა ქვეყნის ორ-ორი წარმომადგენელი.

სხდომამ მოყვარულობის კანონებში შეიტანა ერთი უმნიშვნელო ცვლილება: თუ აქამდე ეროვნული ნაკრების მოთამაშეებს მხოლოდ ტურნეზე ყოფნისას ერგებოდათ სამუშაოს გაცდენის გამო დაკარგული შემოსავლის კომპენსაცია, ამიერიდან ამგვარი ანაზღაურება საერთაშორისო შეხვედრისათვის მზადების პერიოდისთვისაც დაწესდა.

სხდომამ განიხილა საბჭოს მოკავშირე წევრებად ახალი „სარაგბო ქვეყნების", მათ შორის — საქართველოს, აღიარების საკითხიც. მართალია, დამსწრეებმა ჩვენი კავშირი ფრიად დადებითად დაახასიათეს, მაგრამ ისიც აღნიშნეს, რომ ჯერჯერობით ქართულ რაგბის მხოლოდ საბუთებითა და ყრილობებსა თუ წვეულებებზე შეხვედრებით იცნობენ. სწორედ ამიტომ ირბ-ის თავმჯდომარე 1989-90 წლების სეზონში — სამხრეთაფრიკელი ელოფი და თავმჯდომარე 1990-91 წლებისათვის — შოტლანდიელი სმითი აპრილში ჩავლენ ზიმბაბვეში, სადაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ამ დროისათვის ტურნეს გამართავს, დაესწრებიან თამაშებს და ქართული რაგბის ხელმძღვანელებსაც ინახულებენ. გარდა ამისა, საბჭოს დავალებით, მისი მდივანი — უელსელი როულენდზი ივლისის შემდეგ საქართველოში ჩამოვა და ადგილზე შეისწავლის ქართული რაგბის მდგომარეობას, რის შემდეგაც საბჭო თავის საშუალედო სხდომაზე, ნოემბერში, კვლავ განიხილავს საქართველოს რაგბის კავშირის ცნობის საკითხს.



**ორი** დიდი გიორგის — ნიკოლაძისა და ეგნატაშვილის თანამოსაგრის გიორგი მერკვილაძის ხელში მრავალმა თაობამ გაიარა. ამ უბადლო პედაგოგისა და აღმზრდელის, ფიზკულტურული მოძრაობის შესანიშნავი ნოვატორის ნააზრევსა და წინადადებას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მთელს ქვეყანაში მიჰყვებიან მის მიერ გაკვალულ გზას. თითქმის ცხრა ათეულ წელს მიღწეულმა გ. მერკვილაძემ ბევრის გაკეთება მოასწრო, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა. მის სახელს ყოველთვის მადლიერებით მოიხსენიებს ჩვენი ხალხი, რადგან ეს ამაგდარი კაცი სიცოცხლის ბოლო დღემდე მასზე ზრუნავდა.

გუშინწინ თბილისში, ჭავჭავაძის პროსპექტზე №70 სახლზე გაიხსნა სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის გიორგი მერკვილაძის მემორიალური დაფა. იგი გახსნა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილემ კობა სუჯაშვილმა. მოგონებებით გამოვიდნენ სპორტული მუშაკები დავით კინწურაშვილი, მურთაზ მნათობლიშვილი, ჯანო ბაგრატიონი და გ. მერკვილაძის მეუღლე, ქალბატონი კირა მერკვილაძე.

**ს უ რ ა თ ზ ე:** გ. მერკვილაძის მემორიალური დაფის გახსნა ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე №70 სახლზე.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# საქართველოს სპორტსახკომში

**30 მარტს** კოლეგიის სხდომა დაიწყო წინა დღეს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი კოლეგიის პოზიციის გამოკვეთით. ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღეს განცხადება, რომელიც „ლელოს" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა. განიხილეს აბაშის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის საკითხი. კოლეგიამ კრიტიკულად შეაფასა გაწეული საქმიანობა, აღნიშნა, რომ ნაკლოვანებების მიღმა არის მიზეზები, რომლებიც უნდა გამომჟღავნდეს და გაანალიზდეს, საჭიროა ვამხილოთ ის პიროვნებები, რომლებიც გულგრილობას იჩენენ მინდობილი საქმისადმი და საჭიროების შემთხვევაში შევცვალოთ კიდეც. სპორტსახკომმა, როგორც სახელმწიფოებრივმა ორგანომ, რაიონების ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრო გადაუჭრელ პრობლემებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ახლო მომავალში რაიონში ჩატარდება აქტივის კრება, რის შემდეგ კოლეგია კვლავ დაუბრუნდება ამ საკითხს.

ფიზკულტურული კადრებისადმი მოთხოვნა, რაც დრო გადის სულ უფრო მეტად იზრდება. დეფიციტს ქმნის ისიც, რომ ახალგაზრდა კადრები გაურბიან სპეციალობით მუშაობას, დაახლოებით 1500 საშტატო ერთეული კი არასპეციალისტებს უკავიათ, ბევრგან ადგილები ვაკანტურია. ხელფასის სიმცირის, მატერიალურ-სპორტული ბაზის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო დიდია კადრების დენადობა რესპუბლიკის რაიონებში. ამ საკითხის განხილვისას კოლეგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია კადრებზე მოთხოვნილების რეგულირება პერსპექტივის გათვალისწინებით, სპეციალისტების მომზადებას უნდა მიეცეს მიზნობრივი ხასიათი პროფილის მიხედვით. დაისვა საკითხი, რომ აუცილებელია ჩვენს ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიზარდოს მიღების კონტინგენტი, როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სწავლებაზე.

მიუხედავად მსოფლიო აღიარებისა, ჭიდაობის ცალკეულ სახეობებში არის მოსაგვარებელი პრობლემები, რაც ხელს უშლის ქართველ ფალავანთა სრული შესაძლებლობების გამოვლენას. დაისახა ღონისძიებები შედეგების გასაუმჯობესებლად.

როგორ მუშაობენ ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლები და სასწავლებლები? ამ კითხვაზე პასუხი გასცა კონკურს-დათვალიერების შედეგებმა, რომელიც შეაჯამა კოლეგიამ.

საქართველოს სპორტსახკომის №2 უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა სამეურნეო ანგარიშზე გადადის. ახალ პირობებში სკოლის მუშაობის შესაძლებლობების განხილვისას ხაზი გაესვა იმას, რომ ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებას, საერთოდ, საქმიანობის სრულყოფას.

დღის წესრიგში დგას რესპუბლიკური სპორტული კლასიფიკაციის ნორმატივების შემოღების საკითხი. კოლეგიამ მიიღო საორგანიზაციო დადგენილება და დაამტკიცა ერთიანი რესპუბლიკური სპორტული კლასიფიკაციის ნორმატივების დამდგენელი კომისიის სია.

კოლეგიამ განიხილა სხვა საკითხები. დაამტკიცა ნომენკლატურული მუშაკები.

საბჭოთა კავშირის წყალბურთელ ქალთა ჩემპიონატის წინ

# „ივერია“ ჩემპიონატის სტარტზე

**სპორტის ნებისმიერ სახეობას, ჩამოყალიბებისა და დაფუძნების პროცესში თან ახლავს უამრავი პრობლემა. თბილისის „ივერიის“ წყალბურთელ ქალთა გუნდმა ფაქტობრივად დაამთავრა ეს პროცესი და შარშან ნოემბერში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონიც გახდა...**

და, აი, „ივერია“ დღეს ჩაებმება ქვეყნის მეორე ჩემპიონატში, ბუნებრივია, სურვილი არ მოგვასვენებს — იქნებ კვლავაც ჩემპიონად ვიხილოთ „ივერია“... პერსპექტივებზე გვესაუბრება გუნდის მწვრთნელი ვაჟა ჩერტკოევი.

● **ჩვენში უფრო ძირგამდგარ, ტრადიციულ სპორტის სახეობებსაც უამრავი პრობლემები აქვს. ალბათ თქვენც გექნებათ თქვენი საწუხარი.**

— რასაკვირველია, პრობლემა იმდენია, მის განხილვას, ალბათ არ ეყოფა არავითარი ინტერვიუ, თუმცა, შევეცდები, დაწვრილებით მოგითხროთ ყველაფერი.

„ივერია“ შეიქმნა 1984 წელს. არ ვიცი, ალბათ გულმა გვიგრძნო მოსალოდნელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები და გუნდის სახელი იმგვარი შევარჩიეთ, საპრეტენზიოდ ენა არავის მოუბრუნდება, წარსულ გასაჭირზე არ ღირს საუბარი. როგორც იქნა მივიღეთ მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პირველ ჩემპიონატში. სიმართლე რომ გითხრათ, დაბრკოლებები გვქონდა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ყველა კოლექტივს, რადგან საბჭოთა კავშირის სპორტსახკომის წყალბურთის სამმართველო და წყალბურთის საკავშირო ფედერაცია, რატომღაც, სკეპტიკურად უყურებდნენ ქალთა წყალბურთს, ბოლოს, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა — მივიღეთ პირველ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობა და ჩემპიონობაც მოვიპოვეთ.

მაგრამ ვიდრე საქმეს თავი მოებმებოდა, უამრავი წინაღობის დაძლევა მოგვიხდა. უმთავრესი ის იყო და არის, რომ არ გვაქვს ბაზა. ვიდრე ჩვენი გუნდი ფიზკულტურის ინსტიტუტს ეკუთვნოდა, ასე თუ ისე, გვქონდა აუზი და სავარჯიშო პირობები, მაგრამ ამჟამად ინსტიტუტმა უარი გვითხრა მასპინძლობაზე. დღესდღეობით ვაკის საცურაო აუზს ვართ მიკედლებული, იჯარას იხდის პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ სწორედ აღნიშნული საზოგადოება გვპატრონობს და საკავშირო სპორტსახკომის დადგენილებით 1992 წლამდე უნდა გვიხელმძღვანელოს. არადა, რესპუბლიკის სპორტსახკომს დიდი სურვილი აქვს დაგვეხმაროს, მაგრამ აღნიშნული დადგენილება გასაქანს არ აძლევს. ეგ არის, „არაოფიციალურად“ გვეხმარება ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

ამჟამად მთლიანად დოტაციაზე ვიმყოფებით... ამასთან, არა თუ საქართველოში, კავკასიის რეგიონშიც არ არის წყალბურთელ ქალთა გუნდი. გოგონებს არა აქვთ საშუალება სისტემატურ შეხვედრებში აიმაღლონ სპორტული დაოსტატების დონე. მაგალითად, წელს, იანვარში, ლენინგრადში ვიყავით ადგილობრივ „ბალტიკასთან“ ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად. ეს ყველაფერი უამრავ ხარჯთან და პრობლემასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ, რა გვექნა, სხვა გზა არ იყო — ეს მატჩები წინასაჩემპიონატო სამზადისის ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ, რომლის უგულებელყოფა ძვირად დაგვიჯდებოდა.

● **გამოსავალი ალბათ საქართველოს რეგიონში ქალთა წყალბურთის გუნდების ჩამოყალიბება იქნება..**

— გეთანხმებით. ამგვარი დადგენილება უკვე მიიღო რესპუბლიკის სპორტსახკომმა. მაგრამ ერთია ქაღალდზე არსებული კანონი, მეორე — მისი რეალობად ქცევა. ბათუმში, სოხუმში, რუსთავში და ქუთაისში ყველა წინაპირობაა იმისათვის, რომ დაინერგოს ქალთა წყალბურთი.

● **ვინაიდან ფულადი სახსრები გიჭირთ, ბუნებრივია, ალბათ ეძებთ სპონსორებს.**

— და მერე როგორ, რათა როგორმე შევძლოთ შეჯიბრებებში მონაწილეობა. დიდი დახმარება გაგვიწია პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტების ბიურომ, რომელმაც უკვე გვარიანად დაგვაფინანსა. დახმარებას გვპირდება გაერთიანება „აზოტიც“. და მაინც კვლავ ვეძებთ სპონსორებს.

● **ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებმა თითქოს რამდენადმე შეცვალა „ცენტრის“ დამოკიდებულება რესპუბლიკებისადმი. მაგრამ, ვფიქრობ, ქალთა წყალბურთი ჯერ ვერ განთავისუფლდა ცენტრის „ბრჭყალებისაგან“.**

— რა თქმა უნდა, და ამას კონკრეტული მაგალითით დაგიმტკიცებთ: როგორც ვიცოდით, საკავშირო ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებდა საერთაშორისო ტურნირებში, კონკრეტულად—ევროპის ქვეყნების ჩემპიონატთა თასის გათამაშებაში. მაგრამ წყალბურთის საკავშირო სამმართველო და წყალბურთის ფედერაცია უარს გვეუბნება ამ ტურნირში გამოსვლაზე. დროა, რესპუბლიკის შესაბამისმა უწყებებმა და ორგანიზაციებმა უშუამდგომლონ ჩვენს კოლექტივს, რათა გავიდეს ევროპის სარბიელზე, რაც ერთიორად გაზრდის ქართული წყალბურთის ღირსებას.

● **მაინც ვფიქრობ, წინა საჩემპიონატო განწყობილება მხოლოდ პრობლემებით არ იქნება შექმნილი, რას პირდებით ქართველ გულშემატკივრებს?**

— ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, ჩემპიონატში თითქმის თანაბარი ძალის გუნდები მონაწილეობენ. პირველი ეტაპი გაიმართება გორკში, მეორე, ალბათ — თბილისში... ამის შემდეგ გამოვლინდება ოთხი საუკეთესო კოლექტივი, რომელიც განაგრძობს ბრძოლას ოქროს მედლებისთვის.

ჩვენი პროგრამა მინიმუმი საუკეთესო ოთხეულში მოხვედრაა, მაქსიმუმი, — ცხადია, ჩემპიონატში გამარჯვება, ბოლოს და ბოლოს ჩემპიონები ვართ, და ეს გვავალებს შევინარჩუნოთ წოდება.

ესაუბრა **ლევან ჯავახიშვილი.**

# პრიზები განაწილდა

**დამთავრდა** საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის ჩემპიონატი.

გთავაზობთ ბოლო ორი ტურის ტექნიკურ შედეგებს. **XVI ტური:** ფორჩხიძე-გოგიჩაიშვილი 0:1, გოგეშვილი-მანაგაძე 0:1, კეკელიძე-სიჭინავა 1:0, მანაშეროვი-იგრიაშვილი 1:0, ბერაძე-კუჭუხიძე 0:1, მელქონიანი — შალამბერიძე 0,5:0,5, იაშვილი-სუპატაშვილი 0,5:0,5, ლექვეიშვილი-ლაზარაშვილი 0,5:0,5. **XVII ტური:** სუპატაშვილი-ლექვეიშვილი 1:0, მანაგაძე-მელქონიანი 1:0, პოპოვი-ფორჩხიძე 1:0, კუჭუხიძე-მანაშეროვი 0,5:0,5, სიჭინავა-ბერაძე 0,5:0,5, ლაზარაშვილი-კეკელიძე 0,5:0,5, შალამბერიძე-იაშვილი 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი-გოგეშვილი 0:5: 0,5.

ასპარეზობაში 12,5 ქულით I ადგილი დაიკავა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა ხვიჩა სუპატაშვილმა. II-V ადგილები 11,5-11-5 ქულით გაინაწილეს გივი გოგიჩაიშვილმა, კახა შალამბერიძემ, ნუკრი მანაგაძემ და იანის პოპოვმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო II-III ადგილები და სუპატაშვილთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება შესაბამისად მოიპოვეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა გივი გოგიჩაიშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა კახა შალამბერიძემ. IV ადგილი წილად ხვდა ნუკრი მანაგაძეს (ქუთაისი), V — იანის პოპოვს (თბილისი).

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: VI. აკაკი იაშვილი (თბილისი) — 9,5, VII-VIII. ფელიქს მელქონიანი (ბათუმი), შოთა კუჭუხიძე (ქუთაისი) — 9-9, IX. მიხეილ კეკელიძე (თბილისი) —8, X. რომან სიჭინავა (სენაკი) — 7, XI-XII. ალექსი ლაზარაშვილი (თბილისი), ზურაბ იგრიაშვილი (რუსთავი) — 6,5-6,5, XIII. ჯემალ ბერაძე (წყალტუბო) — 5,5, XIV. ისიდორე გოგეშვილი (ბათუმი) — 5, XV ისააკ მანაშეროვი (ხაშური) — 4,5, XVI. დავით ფორჩხიძე (ტყიბული) — 4, XVII. ნიკოლოზ ლექვეიშვილი (სამტრედია) — 3.

გამარჯვებულებს გადაეცათ საგზაო სამმართველოს, შაორტყიბულჰესის კასკადის, ცენტრალურ-გამამდიდრებელი ფაბრიკისა და სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ დაწესებული პრიზები.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**
ტყიბული.

# სოხუმელი მოკრივე ნაკრებში

**ტაილანდის** დედაქალაქ ბანგკოკში ჩატარდება მოკრივეთა ტრადიციული ტურნირი „სამეფო თასი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ნაკრებიც უძლიერესი შემადგენლობით. გუნდის წევრთა შორის არის სოხუმელი მოკრივე ტიგრან უზლიანი. მის გარდა ნაკრების ღირსებას დაიცავენ: ა. ფილიპოვი (ჩიტა), ნ. მუნჩიანი (ერევანი), ტ. სკრიაბინი (კიშინიოვი), ა. ხამატოვი (ყაზანი), კ. ცზიუ (სეროვი), ვ. ერეშჩენკო (ვორონეჟი), ა. ლებზიაკი (მაგადანი), რ. ზაულიჩნი (ლვოვი), ს. ბრაჟნიკოვი (ბელგოროდი), ე. სუდაკოვი (დიმიტროვგრადი) და ე. ბელოუსოვი (ჩელიაბინსკი).

## მოკლედ

**სოხუმში** გაიმართა ტრადიციული მე-17 ღია ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 1974-1975 წლებში დაბადებული გოგოები და ჭაბუკები.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ბელორუსიის ნაკრებმა, მეორე — მოლდავეთის გუნდმა, მესამე — სოხუმის პირველმა გუნდმა.

გოგონათა ასპარეზობაშიც გაიმარჯვა ბელორუსიის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გავიდა სომხეთის ნაკრები, მესამეზე — სოხუმი-I.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაშბამ საუბარში აღნიშნა, რომ ასეთ ტურნირებში აღიზარდნენ მთელი რიგი ცნობილი კალათბურთელი, მაგალითად; სოხუმელები ამალია ზახარჯიანი, დები ირა და მარგო ლურსმანაშვილები, რომლებიც ამშვენებდნენ თავის დროზე თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდს.

**თენგიზ პაჭკორია.**
**„ლელოს“ კორ.**
**სოხუმი.**

# წერილი რედაქციას

ბატონო რედაქტორო!

ა. წ. 11 თებერვალს ჩემს წერილში „მეტი კომპეტენტურობა“ შეფასებული იყო ლ. ფრუიძის სტატიაში „ეროვნული აღორძინება ხალხური სპორტით უნდა დაიწყოს“ („ლელო“, 30.I.) გამოთქმული მოსაზრებანი, რასაც მოჰყვა ლ. ფრუიძის ე. წ. პასუხის პასუხი („ლელო“, 1990, №58).

ვუწევ რა ანგარიშს „ლელოს“ მკითხველებსა და ამჟამინდელ საერთო სიტუაციას, მე თავს ვიკავებ ვრცელი საპასუხო წერილის გამოქვეყნებისაგან. თავს ვიკავებ იმის გამო, რომ ლ. ფრუიძე პასუხში ისევ თავის ნაჩქარევ და მცდარ აზრებს იმეორებს. გარდა ამისა, აბა, როგორ უნდა ეკამათო კაცს, რომელიც ყოველ აბზაცს ლანძღვამდე დაყვანილი ირონიით ავსებს (ბრძენს უთქვამს: ლანძღვა-გინება უსუსურთა წესია, ამით ისინი თავიანთ უვიცობას ფარავენო). ასეთ ავტორებთან დავაში ჩაბმა კინკლაობამდე მიგვიყვანს, საკინკლაოდ კი, მოგეხსენებათ, ახლა არც „ლელოს“ და არც მის მკითხველს არ სცალია.

ისევ ვიმეორებ: სხვა დარგების სპეციალისტთა მოზიდვას კვლავაც უნდა ვეცადოთ, მაგრამ არა ისეთებისა, რომელნიც თავგამოდებით გვიმტკიცებენ: „ადამიანებისა და ხალხების ურთიერთობა მარტოოდენ (ხაზი ჩემია, ა. ც.) მეცნიერებამ, ხელოვნებამ და სპორტმა უნდა მოაგვაროს. სხვა გზა არ არსებობს!“ (ეს მხოლოდ გადარჩენის ფრუიძისეული თეორიაა). ხომ გახსოვთ, ერთი, თავის საქმეში საკმაოდ გასწავლული სპეციალისტი, როგორ გვირჩევდა—პროპაგანდას ნუ უწევთ შტანგას, იგი სიქაჩლეს იწვევსო.

პატივისცემით

**ავთანდილ ციბაძე.**

## წოდების მინიჭება

**საბჭოთა** კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა **სსრ კავშირის სპორტის ოსტატის** წოდება მიანიჭა:

**მძლეოსნობაში** — ამბროსი მათიაშვილს (საგარეჯო, „შევარდენი“); ავთანდილ ტალიკაშვილს, ვლადიმერ მინაკოვს (ორივე — თბილისი, „შევარდენი“).

**ძალოსნობაში** — პლატონ ტყემალაძეს (ქუთაისი, „შევარდენი“), სტანისლავ ვეკუას (სოფ. რიყე, „შევარდენი“), ანდრეი ბატაევს (რუსთავი, „დინამო“).

ტურნირის ექო

# ნახვამდის, თბილისო!

**მსაჯი ილიმება ყველგან: ტატამზე, ტრიბუნაზე, შესვენების დროს, თბილისის ქუჩებში... ენობრივი ბარიერის მიუხედავად ყველას ალალად ესაუბრება, ხუმრობს. სწორედ ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ გულშემატკივრებზე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ანდრეას ჰემპელმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რომელიც ა. კიკნაძის სახელობის ძიუდოისტთა ტურნირზე ჩამოვიდა. თვით ანდრეასიც მოხიბლულია საქართველოთი და ტურნირის ორგანიზაციით.**

— ტურნირი, მაღალ დონეზეა ორგანიზებული, — ამბობს იგი, — მასპინძელთა გუნდი, როგორც ყოველთვის, ახლაც ძლიერი ძიუდოისტებითაა წარმოდგენილი, ქართველებს თითქოსდა აკვნიდან დაჰყვებათ ბრძოლისუნარიანობა. უცხოელებს ძალზე უჭირთ მათთან შერკინება. აქ ისიც მინდა აღვნიშნო: ვთქვათ, სტუმარმა გამარჯვებას მიაღწია მასპინძელთან, გადის რამდენიმე წუთი და იგი კვლავ ქართველს ხვდება.

● **ანდრეას, თქვენი ქვეყნის ძიუდოისტები არცთუ ისე მრავალრიცხოვანი დელეგაციით ეწვივნენ თბილისს, ხომ არ არის მათი წარუმატებლობა ამის ბრალი?**

— რატომ? ჩვენ 12 ძიუდოისტი ჩამოვიყვანეთ, ეს არც თუ ისე ცოტაა. თუმცა ვშიშობ, რამდენი მოჭიდავეც უნდა ჩამოგვეყვანა, ქართველები მაინც თქვენსას მიაღწევდით, მაინც გაიმარჯვებდით. საერთოდ, ამ ასაკის ძიუდოისტთა ტურნირები მაყურებლის დეფიციტს განიცდის ხოლმე, მაგრამ თბილისი, როგორც ყოველთვის, დღესაც გვაოცებს.

● **ადრეც ყოფილხართ თბილისში?**

— დიახ, 1987 წელს, ვაჟ ძიუდოისტთა ტურნირზე. გაოცებას ვერ ვმალავდი; სპორტის სასახლეში გამართულ ორთაბრძოლებს თითქმის ყოველდღე 10 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ასეთი რამ იშვიათად ხდება. სულ ახლახან პარიზში გამართულ ანალოგიურ ტურნირს მხოლოდ 5 ათასი მაყურებელი ჰყავდა. როგორც თბილისში, იქაც ამინდს ადგილობრივი ძიუდოისტები ქმნიან. მსოფლიოში მხოლოდ სამ ქვეყანას დავასახელებდი, სადაც სხვა ქვეყნის ძიუდოისტის წარმატება მხოლოდ ოცნებად რჩება: იაპონია, საფრანგეთი და საქართველო.

● **როგორია თქვენი დამოკიდებულება ქალთა ძიუდოს მიმართ?**

— ქალთა ძიუდოს სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ქალმა თავის საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ, თითქოს პარადოქსია, ქალები „მშვენიერ ძიუდოს“ სთავაზობენ გულშემატკივარს.

● **რომელ ძიუდოისტებს გამოჰყოფდით ამ ტურნირის მონაწილეებიდან?**

— გამაოცა შავხუჭუჭთმიანმა გოგონამ, ნინო მარუაშვილმა, იგი საოცარი სისწრაფით ატარებს რთულ ილეთებს. ჭაბუკები? პასუხისგან თავს შევიკავებ, თავისებურად ყველა საუკეთესოა.

● **როგორ გესახებათ მომავალში საქართველოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძიუდოისტთა ურთიერთობა?**

— ჯერჯერობით არ გვაქვს ისეთი შეთანხმება, რომელიც თქვენი რესპუბლიკის ძიუდოისტებთან დამოუკიდებელი კავშირის დამყარების საშუალებას მოგვცემდა. სპორტსმენების მიწვევა სხვადასხვა რანგის ტურნირებზე საბჭოთა კავშირის ძიუდოს ფედერაციის უშუალო მონაწილეობით ხდება. ისე, კარგი იქნება, თუ მდიდარი სპორტული ტრადიციის მქონე საქართველოს ძიუდოს ფედერაცია მიაღწევს გერმანელ კოლეგებთან შეთანხმებას.

● **რა ფიქრებით ბრუნდებით სამშობლოში?**

— მომწონხართ ქართველები — გულღია ხალხი ხართ. თბილისიც მომწონს. ვეცდები, მომავალ წელს კვლავ გესტუმროთ რომელიმე ტურნირზე, ამიტომ არ გემშვიდობებით და გეუბნებით: ნახვამდის, თბილისო, მომავალ შეხვედრამდე!

**ორი კითხვით მივმართეთ გდრ-ის გუნდის წევრ რალფ პოზერსაც.**

● **რალფ, თბილისში რომ მოდიოდი, გჯეროდა წარმატებისა?**

— ექვსი წლის ასაკიდან ვვარჯიშობ ძიუდოში, ასე თუ ისე ჭიდაობა შემიძლია. თბილისში გამომგზავრებამდე ძალზე ვღელავდი, მსმენოდა მასპინძელთა სიძლიერეზე, მაგრამ წარმატების იმედს არ ვკარგავდი.

● **გამართლდა შენი წინათგრძნობა?**

— ქართველებთან მართლაც ძნელია ჭიდაობა, ბრძოლის სულ განსხვავებული ტექნიკა აქვთ, თან გულშემატკივართა შეძახილები, ცოტა არ იყოს, მოქმედებს ჩვენზე. მაგრამ, როგორც ხედავთ, მაინც მოვახერხე ქართველ პრიზიორთა რიგებში „შეჭრა“. ჩემი ჭიდაობით კმაყოფილი ვარ, თუმცა უფრო მეტის გაკეთება შემეძლო...

ლამაზი ქალაქი გაქვთ, აღფრთოვანებული ვარ. გავიგე, აქ ტრადიციულად იმართება ტურნირი მოზრდილთა შორის. დიდი სურვილი მაქვს იქაც მივიღო მონაწილეობა. მინდა აგრეთვე, ჩემი ბედი ქართულ ჭიდაობაშიც ვცადო. ვინ იცის, იქნებ გამიმართლოს...

სტუმრებს ესაუბრა
**თამუნა ჯიშკარიანი.**

## ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდების განაცხადი

გთავაზობთ რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე ლანჩხუთის „გურიის", თბილისის „შევარდენის" და სოხუმის „ცხუმის" საგანაცხადო სიებს.

**„გურია" (ლანჩხუთი)**

მთავარი მწვრთნელი: **მ. ხურცილავა**, მწვრთნელები: **გ. იმნაძე, გ. დუნდუა**, გუნდის უფროსი **თ. ჩხაიძე.**

**შემადგენლობა:** ა. ქანთარია, მ. აბუსერიძე, ბ. დანელია, გ. ტყებუჩავა, დ. ცომაია, ნ. მიქაბერიძე, თ. კაბისაშვილი, გ. ჩხაიძე, ო. კორღალიძე, ბ. ფრიდონაშვილი, დ. უგრელიძე, ქ. კვინტრაძე, თ. ლორია, ზ. ბაკურაძე, ლ. ბარათაშვილი.

**„შევარდენი" (თბილისი)**

მთავარი მწვრთნელი **გ. ხუციშვილი**, მწვრთნელები — **ი. შევარდნაძე, ა. ნებიერიძე.**

**შემადგენლობა:** გ. დოლიძე, თ. შალამბერიძე, ნ. ტარტარაშვილი, პ. ჩხეიძე, ნ. კაკილაშვილი, მ. ჟორდანია, მ. მინაშვილი, ლ. ყიფიანი, ლ. ზეიკიძე, ვ. ჟვანია, ე. ყულიაშვილი, თ. სამხარაძე, ზ. სხირტლაძე, გ. ჯოხაძე, კ. კოპალეიშვილი, დ. ობოლაძე, მ. მურმანიშვილი, გ. ლიპარტელიანი.

**„ცხუმი" (სოხუმი)**

მთავარი მწვრთნელი **ე. ქოიავა**, მწვრთნელი **ნ. ბოჯგუა**, გუნდის უფროსი **ა. პაპავა.**

**შემადგენლობა:** გ. ჟორჟოლიანი, გ. ბენიძე, ზ. ფარულავა, გ. დოჩია, ს. მალანია, გ. ინალიშვილი, გ. ჩიხრაძე, გ. გოგრიჭიანი, მ. მორგოშია, ი. გელენავა, ზ. ჯელაძე, ზ. გეგენავა, თ. გადელია, თ. სიჭინავა, ვ. პაპასკირი.

# ფეხბურთი — ჩვენი საერთო საზრუნავი

**ადამიანი** იმაზე ზრუნავს, რაც უყვარს და რაც გულთან ახლოს მიუტანია. ფეხბურთი სწორედ ასეთი საყოველთაო სიყვარულის საგანია, ეს გრძნობა არც ასაკს ემორჩილება, არც პროფესია-საქმიანობას, დღეს თამამად შეიძლება ითქვას — არც სქესს და ა. შ.

ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ვაჟკაცური და ულამაზესი სახეობაა, ამავე დროს, მეტად რთული.

ბევრი რამ მახსოვს, ბევრის მომსწრეც ვარ: პირველი გამარჯვებები საკავშირო ასპარეზზე, საპრიზო ადგილები, ბასკებთან მატჩები, 5:4 ცდკა-სთან და 3:2 მოსკოის „დინამოსთან" — მისი ინგლისიდან ტრიუმფით დაბრუნების „აღსანიშნავად", 3:4 თასის ფინალში მოსკოვის „ტორპედოსთან" და 4:1 მასთანვე ტაშკენტის მატჩში, 2:1 დიუსელდორფში „კარლ ცეისთან" და მრავალი, მრავალი სხვა.

ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვიქტორ პანიუკოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, გივი ჩოხელი, მიშა მესხი, შოთა იამანიძე, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, დათო ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, საშა ჩივაძე — ზემაღალი სიკაშკაშის ვარსკვლავები. სია, რასაკვირველია, არასრულია, მომიტევონ მათ, ვინც ვერ ვახსენე, ისინი ხომ მრავლად არიან. ყოველი მათგანის დამსახურება აუცილებლად საჭიროა აისახოს ქართულ საფეხბურთო ენციკლოპედიაში, რაც უეჭველად უნდა შეიქმნას, რათა ვიცოდეთ რანი ვიყავით, როცა ახლებურად ცხოვრებას ვიწყებთ.

ზემოთ ვთქვი, რომ ფეხბურთს ზნესაღი ადამიანები თამაშობენ. ვგულისხმობდი ბორის პაიჭაძეს, მას მრავალგზის თითქმის ათეული მეტრი გაურბენია მინდორზე, რომ არ წაქცეულიყო მის მიმართ ჩატარებული უხეში ილეთების შემდეგ, ან როგორ მორიდებით გამორბოდა ხოლმე უკან გოლის გატანის შემდეგ. ვგულისხმობდი მიხეილ ბერძენიშვილს, რომელსაც თავისი კომბინაციებით დიდი სარგებლობა მოჰქონდა გუნდისთვის. გვახსოვს ტაშკენტის „ფახთაქორთან" წაგებული მატჩი ამ გუნდის ტრაგედიის ჟამს და ამ აქტის შეფასება საზოგადოებრიობის მიერ, და კიდევ მრავალი, მრავალი რამ, რაც ჩვენი გუნდისა და ფეხბურთელების მაღალ ზნეობრიობასა და რაინდობაზე მიუთითებს.

ამავე დროს ჩვენი გუნდის მიმართ ჩატარებული უზნეობისა და უსამართლობის მრავალი აქტიც არ დაგვვიწყებია. 1953 წლის გადათამაშება მოსკოვის „ტორპედოსთან", ფაქტიურად ჩემპიონობის ჩამორთმევა, კალენდრის „შემთხვევითი" მუხანათობები, მოსკოველი მსაჯები ლენინგრადის გუნდებთან შეხვედრებისას და პირიქით, შინაც და სტუმრადაც; მაშინ, როცა ქართული გვარის მქონე დონეცკელი მსაჯი არასოდეს გაუკარებიათ ჩვენი გუნდის თამაშის არბიტრად. უამრავი უმსგავსი პუბლიკაცია პრესაში. რად ღირს თუნდაც ამას წინათ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული ნ. სტაროსტინის მოგონებები. თურმე, ნუ იტყვით, ლ. ბერია როგორ ავიწროებდა მოსკოვის გუნდებს თბილისის გუნდის სასარგებლოდ. „დინამოს" იმ პერიოდში ცუდად არ უთამაშია, საპრიზო ადგილებზეც და თასის ფინალებშიც გასულა, მაშ, რა გაუჭირდათ იმ, მართლაც „ყველაფრის მკისრებელთ", რომ პატარა ხელი წაეკრათ ასეთი გუნდისთვის? ჩვენმა „დინამომ" ჩემპიონობაც და თასიც მხოლოდ „ვოლუნტარიზმისა და უძრაობის" პერიოდში მოიპოვა, თანაც ორ-ორჯერ.

გავიმეორებ ერთ ზემოთქმულს: „დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთისადმი სიყვარული არ ექვემდებარება სქესს". იყო დრო, როდესაც ქალები სტადიონზე იშვიათად დადიოდნენ. მაგონდება შემთხვევა დიდუბის სტადიონზე: დაძაბული მატჩია. ერთი ახალგაზრდა გულშემატკივარი მეტად უშვერი სიტყვებით ამკობს მსაჯსა და სტუმარი გუნდის ფეხბურთელებს. ორ მანდილოსანთან ერთად მოსულმა მამაკაცმა არაერთი შენიშვნა მისცა ავყიას. მანაც იმდენივეჯერ ბოდიში მოიხადა, მაგრამ მაინც ვერ დაიოკა მოზღვავებული გრძნობები და ბოლო შენიშვნაზე ასე უპასუხა: „ბოლოს და ბოლოს" რა გამიწყალეთ გული, მე თქვენთან ოპერაში ხომ არ მოვდივარო".

ვფიქრობ, რომ დღეს ასეთ რამეს ვერავინ იტყვის, რასაკვირველია, არა ოპერის, არამედ სტადიონის მიმართ, სადაც ლამაზი სქესის წარმომადგენლები არა მარტო ვაჟთა ფეხბურთის საყურებლად დადიან, არამედ თვითონაც გატაცებით თამაშობენ.

ის, რაც უკანასკნელ ხანს ჩვენს ეროვნულ საფეხბურთო ცხოვრებაში მოხდა, ადვილად გასაცნობიერებელი არ იყო. ბუნებრივიცაა, რომ მან დიდი ეჭვი და აზრთა სხვადასხვაობა დაბადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „წყალი დაიწმინდა", გაანალიზდა წარსულის ლადებითი და ჩრდილოვანი ფაქტები, მრავალი „გაოგნებული" არა მარტო შეურიგდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებას, არამედ მის მიერ დასახული ერთადერთ სწორ გზად მიიჩნია.

ეს ასეა და დადგა დრო მოქმედებისა. ნათქვამია — პირველი ნაბიჯი საქმის წარმატების ნახევარიაო. ამიტომ პირველ ყოვლისა, არა თუ თავმოყვარეობის, არამედ უაღრესად პრინციპულ საკითხს წარმოადგენს მომზადდეს და პრაქტიკულად განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ორგანიზაციულ-სპორტულ დონეზე ჩატარებას.

დღეს უშუალო საფუძველი გვაქვს მკაცრად მოვთხოვოთ საფეხბურთო ცხოვრების ყველა მონაწილეს: მოთამაშეებს, მწვრთნელებს, ექიმებს, ფედერაციისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მესვეურებს უანგარობისა და პატიოსანი შეჯიბრების პრინციპებისადმი ურყევი ერთგულება, ეროვნული და საერთაშორისო სპორტული ნორმების ზედმიწევნით შესრულება, რათა ქართული ფეხბურთის საყოველთაოდ აღიარებული თვითმყოფადობა მხოლოდ აღმავლობის გზით წარიმართოს, თავის მხრივ ქართველმა საზოგადოებრიობამ, ფეხბურთის გულშემატკივრებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ ამ დიდებული მიზნის საკეთილდღეოდ. რაც ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვების რთულ, მაგრამ ნათელ გზაზე ჭეშმარიტ სიმბოლოდ იქნა მოხმობილი.

ამ წერილით შევეცადე აზრი გამომეთქვა ქართული ფეხბურთის წარსულისა და მომავლის შესახებ, ისე როგორც მე მესახება. თუ მოსაწონად ვერ ვთქვი, მოტევებას გთხოვთ როგორც დილეტანტი, თუმცა, მთლად დილეტანტიც არა ვარ. მითამაშია თბილისის ვაჟთა მე-6 სკოლის გუნდში ავთო ჭკუასელის, გურამ ქევანიშვილის, კოტე კოტარიას, გივი ფაცურიას, ჯუნა ჯანგავაძის, გივი აზაურაშვილის, ჭოლა ჭყონიას, ვოვა ივანოვის გვერდით და ჩვენი მწვრთნელის თენგიზ სისორდიას ხელმძღვანელობით მოპოვებულ მრავალ გამარჯვებათა შორის დღესაც დიდი აღფრთოვანებით ვიგონებ თბილისის სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლის ნაკრები გუნდის დამარცხებას ანგარიშით 2:0, რაც უდიდეს სენსაციად მოევლინა მაშინდელ თბილისს.

მინდა ამ შემთხვევით გამოწვეული მადლიერება გამოვხატო, შევუერთდე მოწოდებას და სათანადო წვლილის შეტანის სურვილი გამოვთქვა ქართული ფეხბურთის მხარდასაჭერად.

**რეზო სალუქვაძე,**
**სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი და უმაღლესი საბჭოს წევრი, სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.**

# ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

**29 მარტს** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს საქართველოსა და ლიტვის გუნდების საკითხი.

აღმასკომმა მოისმინა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვის ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ლიტვის ფეხბურთის ფედერაციას სურვილი აქვს არ გაწყვიტოს ურთიერთკავშირი სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციასთან, მაგრამ ამავე დროს გადაწყვეტილი აქვს რესპუბლიკის გუნდებმა მონაწილეობა არ მიიღონ საკავშირო შეჯიბრებებში.

აღმასკომმა გადაწყვიტა დროებით გარიცხოს ლიტვის ფეხბურთის ფედერაცია სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის შემადგენლობიდან და ერთგვარი ალტერნატიული დადგენილებაც მიიღო: თუ „ჟალგირისი" სსრ კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილს განაცხადებს, მას კვლავ დაუშვებენ გთამაშებაში. ამრიგად, ამჟამად მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში მოსკოვის „დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" ჯერჯერობით ჩამოერთმევათ 2-2 ქულა, რომლებიც მათ დაერიცხათ „ჟალგირისის" გამოუცხადებლობის გამო, ორი ქულა ჩამოერთმევა ოდესის „ჩერნომორეცსაც", რომელიც მას ჰქონდა „ჟალგირისთან" მოპოვებული გამარჯვებისთვის (1:0).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ ცნობს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წესდებას და არ მიაჩნია თავისი თავი ამ ფედერაციის წევრად. ამიტომაც, საქართველოს გუნდები მონაწილეობას ვერ მიიღებენ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ არც ერთ შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩამოერთვას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წევრობის უფლება, ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოს გუნდებს უფლება არ ექნებათ შეხვდნენ არც საბჭოთა და არც უცხოეთის გუნდებს.

აღმასკომმა განიხილა სოხუმის „დინამოს" თხოვნა დაუშვას იგი საკავშირო ჩემპიონატში I ლიგის გუნდებს შორის. სოხუმელთა ეს თხოვნა დააკმაყოფილეს და, როგორც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ განაცხადა, ეს ნებადართულია ჩვენი ფედერაციის წესდებით.

ამრიგად, უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატში დარჩა 13 გუნდი. დადგინდა, რომ უმაღლეს ლიგას წლეულს დატოვებს ბოლო ადგილზე გასული ერთი გუნდი და მის ადგილს დაიკავებენ I ლიგაში პირველ 4 ადგილზე გასული გუნდები.

ინფორმაციით გამოვიდა საკავშირო ნაკრების უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სიმონიანი. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ნაკრების შემდგომ საწვრთნელ მატჩში ძირითად შემადგენლობაში ალბათ მონაწილეობას მიიღებს ა. ცვეიბა, ხოლო ერთი თვის შემდეგ მწყობრში ჩადგებიან ვ. ბესონოვი და ა. მიხაილიჩენკო. ნაკრები 25 აპრილს შეხვდება ირლანდიელებს, 18 მაისს — დასავლეთ გერმანიის „შალკე 04"-ს, 20 მაისს — ასევე დასავლეთ გერმანიის „ჰანოვერს", ხოლო 28 მაისს — ისრაელის ნაკრებს.



## ფინალისტები ემზადებიან

**მსოფლიოს** საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში მონაწილე 24 გუნდიდან თერთმეტმა საწვრთნელ-საკონტროლო შეხვედრები ჩაატარა განვლილ ოთხშაბათს.

„ევროპული ფეხბურთის ტრიუმფი" — ასე შეაფასეს ამ შეხვედრათა შედეგები უცხოეთის სპორტულმა მიმომხილველებმა. ამ შეფასებაში მთავარი როლი მიუძღვით ინგლისელებს, რომლებმაც ბრაზილიის ნაკრები დაამარცხეს და შოტლანდიელებს, რომლებმაც მსოფლიო ჩემპიონებს არგენტინელებს მოუგეს.

28 მარტს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის გუნდები. ორივე მხარეს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრა მაინც საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. ანგარიში მე-10 წუთზე გახსნა პროტასოვმა (11-მეტრიანი), საპასუხო გოლი ასევე 11-მეტრიანით გაიტანა ჰოლანდიელმა კუმანმა, თამაშის ბედი კი მე-80 წუთზე გადაწყდა, როცა ჰოლანდიელთა დაცვაში დაშვებული შეცდომის შედეგად მეკარე ვან ბრეკელენის პირისპირ გავიდა ლიუტი და ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში — 2:1.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელებს უპირატესობა ეპყრათ დასაწყისიდანვე, მათ რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს და იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ დამარცხებას.

საბჭოთა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი, გორლუკოვიჩი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, როდიონოვი (იაკოვენკო), რაცი, ალეინიკოვი (ზიგმანტოვიჩი), ლიტოვჩენკო, ჩერენკოვი (პროტასოვი), ლიუტი, ბოროდიუკი.

ინგლისისა და ბრაზილიის გუნდების მატჩში, რომელიც ლონდონის „უემბლის" სტადიონზე შედგა 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, თამაშის 35-ე წუთზე ინგლისელმა ფორვარდმა ლინეკერმა თავით გაიტანა ბურთი მეტოქის კარში — 1:0. ეს იყო ინგლისელთა მესამე გამარჯვება ბრაზილიელებთან შეხვედრათა მთელს ისტორიაში და, საერთოდ, ბოლო 15 მატჩში ინგლისის ნაკრებმა მხოლოდ ამჯერად შეძლო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა დამარცხება.

შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა თავიანთი არსებობის ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვეს არგენტინის ნაკრებთან. ერთადერთი ბურთი 32-ე წუთზე გაიტანა ნაკრების დებიუტანტმა მაკიმიმ.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელთა რიგებში არ გამოდიოდა დიეგო მარადონა, რომელიც ამ დღეებში, თურმე, იაპონიაში იმყოფება თავისი სარეკლამო საქმეების მოსაგვარებლად. საყურადღებოა ისიც, რომ ბოლო შეხვედრებში არგენტინელები მეცხრედ წავიდნენ მინდვრიდან ისე, რომ ბურთი არ გაუტანიათ.

ყურადღებას იპყრობს ესპანელ ფეხბურთელთა დამარცხება საკუთარ მინდორზე ავსტრიელთაგან — 2:3. ესპანელთაგან ბურთები გაიტანეს სანჩესმა და ბუტრაგენიომ. ხოლო გამარჯვებულთა მხრივ — როდაქსმა, ჰერტნაგელმა და პოლსტერმა.

გდრ-ის ნაკრებმა ბერლინში ანგარიშით 3:2 დაამარცხა ამერიკის გუნდი, გერმანელთა მხრივ თავი გამოიჩინა კირსტენმა, რომელმაც სამივე ბურთი გაიტანა.

პოლონეთისა და იუგოსლავიის გუნდების შეხვედრა, რომელიც პოლონელთა მინდორზე გაიმართა, ფრედ დამთავრდა — 0:0. რუმინელებმა ეგვიპტეში ანგარიშით 3:1 მიაღწიეს გამარჯვებას. ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა ტიმოფტიმ, ერთიც — ბალინტმა, ეგვიპტელებმა — ელ-კასის ერთი ბურთით უპასუხეს.

ირლანდიისა და უელსის გუნდების შეხვედრაში გამარჯვებას მიაღწიეს ირლანდიელებმა—1:0. გოლი გაიტანა სლეივენმა.

## არბიტრები მზად არ არიან

**მსოფლიოს** მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატისთვის არბიტრები კარგა ხანია ემზადებიან, მაგრამ როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ი. ბლატერმა განაცხადა, თითქმის ნახევარი ამ 36 არბიტრიდან ამჟამად არადამაკმაყოფილებელ სპორტულ ფორმაში იმყოფება. ეს მსაჯები ორდღიან შეკრებაზე იმყოფებოდნენ იტალიის საკურორტო ქალაქ ტირენიში და სწორედ იქ გაიარეს წინასწარი გამოცდა.

ი. ბლატერმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა:

— გასაკვირია, რომ სწორედ სეზონის შუაგულში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯთა საშუალო დონე ასე დაბალია. ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ მრავალი მათგანი ახლა მსაჯად დანიშნულია ევროპის საკლუბო თასების მეტად საპასუხისმგებლო მატჩებზე.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის არბიტრთა სექციის პრეზიდენტმა ჰარი კიევანმა განაცხადა, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებისთვის შერჩეულ მსაჯებს მოსამზადებლად ჯერ კიდევ აქვთ ორი თვე, მაგრამ თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი საჭირო ფორმას ვერ მიაღწევენ, არბიტრთა სექცია იძულებული იქნება სარეზერვო სიას გადახედოს.

ი. ბლატერმაც და ჰ. კიევანმაც ჟურნალისტებს აცნობეს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსაჯობის კანდიდატთაგან განსაკუთრებით სუსტად გამოიყურებიან ვოტრო, სმითი, კოლი და პეტროვიჩი. სულ ცოტა კიდევ 12 კაცი თავისი ფიზიკური მომზადებით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მხოლოდ მინიმუმს თუ აკმაყოფილებს.

პრეს-კონფერენციაზე ისიც აღინიშნა, რომ არბიტრთა უმეტესობა ერთდროულად დაკავებულია ძირითადი პროფესიული საქმიანობით, ამიტომაც, როგორც ი. ბლატერმა განაცხადა, ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა გაითვალისწინონ მათი საქმიანობის სიძნელეები და დიდი მნიშვნელობა მსოფლიო ჩემპიონატში და შეჯიბრებამდე დარჩენილი პერიოდი არბიტრებს სრულ გამგებლობაში გამოუყონ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების კონცენტრაციისთვის.

# ევროპის ჩემპიონატზე

**ქალაქ** აუგსბურგში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ისევე როგორც, ამ გუნდების პირველი შეხვედრა სიმფეროპოლში, ეს თამაშიც ფრედ დამთავრდა (1:1), ამიტომ საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. ამ პერიოდში სინელნიკოვმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით— 2:1.

საბჭოთა გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე იქნება შვეციის ნაკრები. შვედმა ფეხბურთელებმა მეოთხედფინალში ანგარიშით 4:0 მოუგეს ჩეხოსლოვაკიის გუნდს.

## მომავალი თვის სპორტული კალენდარი

3-6. **ბატუტზე ხტომა.** საქართველოს პირველობა. **ქუთაისი.**

3-6. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი. **გორი.**

4-8. **ძიუდო.** საქართველოს X სპარტაკიადა, დასავლეთის ზონა. **ვანი.**

5-9. **ჭიდაობა სამბო.** საქართველოს პირველობა 1974-1975 წლებში დაბადებულთა შორის. **თელავი.**

10-14. **წყალში ხტომა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

10-15. **ხელბურთი.** საქართველოს სპარტაკიადა. წინასწარი თამაშები. ვაჟები. **ბათუმი.**

10-15. **ბალახის ჰოკეი.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. ვაჟები. **ქუთაისი.**

10-28. **ჭადრაკი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი. **თბილისი.**

11-15. **ჭადრაკი.** საქართველოს თასი სწრაფ ჭადრაკში. **თბილისი.**

12-15. **მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს I ლიგის პირველობა. II ტური. **ამბროლაური.**

12-15. **ძიუდო.** საქალაქთაშორისო ტურნირი 1974-1975 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **გორი.**

16-19. **ბალახის ჰოკეი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ქუთაისი.**

16-19. **აკრობატიკა.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ბათუმი.**

16-23. **წყალბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. I ტური. **ბათუმი.**

17-20. **მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს II ლიგის პირველობა. II ტური. თელავი.

17-20. **ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა. **კასპი.**

17-21. **ფრენბურთი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. ზონა. **რუსთავი.**

18-22. **ძიუდო.** საქართველოს პირველობა 1976-1977 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ვანი.**

18-27. **ჭადრაკი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „თეთრი ეტლი". **ჩოხატაური.**

20-26. **მშვილდოსნობა.** სსრ კავშირის თასი. **სოხუმი.**

21-22. **მძლეოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა კროსში 1975 წელს დაბადებულთა და უფროსთა შორის. **ახალციხე.**

23-29. **ჩოგბურთი.** აჭარის ასსრ ღია ჩემპიონატი. **ბათუმი.**

23-29. **საგზატკეცილო ველორბოლა.** საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში X სპარტაკიადის პროგრამით. **ვანი.**

23-30. **აფროსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი. **ბათუმი.**

24-28. **ფრენბურთი.** საქართველოს ქალთა ჩემპიონატი X **სპარტაკიადის** პროგრამით. **სამტრედია** (დიდი ჯიხაიში).

24-29. **ცხენოსნობა.** საქართველოს ღია აბსოლუტური ჩემპიონატი დაბრკოლებათა გადალახვაში. **ფოთი.**

25-29. **ხელბურთი.** სსრ კავშირის ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატი, VII ტური. **თბილისი.**

26-29. **ძიუდო.** საქართველოს X სპარტაკიადა. აღმოსავლეთის ზონა. **გორი.**

26-30. **საგზატკეცილო ველორბოლა.** საქართველოს გოგონათა პირველობა. **ვანი.**

26-29. **კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს პირველობა 1974-1975 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

26-29. **ძიუდო.** საქართველოს პირველობა 1971-1973 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **ბათუმი.**

**საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე**

## სააპრილო ხუმრობები

**ჭადრაკის** სამყარო ბევრ სახუმარო ეპიზოდებს, მოვლენებს, ფაქტებს იცნობს, რომელთა მონაწილეებიც ხშირად თვით მოჭადრაკეები არიან. მაგრამ საჭადრაკო იუმორის განვითარებაში თავისი არსებითი წვლილი შეიტანეს იმ პირებმაც, რომელნიც უშუალოდ ჭადრაკთან არ არიან დაკავშირებულნი, აგრეთვე, მწერლებმა და ჟურნალისტებმა.

ბევრს კარგად ახსოვს ი. ილფისა და ე. პეტროვის რომანის „12 სკამის" გმირის „დიდოსტატ" ოსტაპ ბენდერის საჭადრაკო „მოღვაწეობა", რომლის ანალოგი თურმე რეალურ ცხოვრებაშიც მოხდა. დუბლინელმა უმუშევარმა დერეკ ლემანმა გამოჩენილი რუსი დიდოსტატის ცარიცინის სახელით ირლანდიის პროვინციულ ქალაქ კორკში 50 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსის ჩატარება განიზრახა. ვიდრე ადგილობრივმა კირკიტა და ცნობისმოყვარე ბიბლიოთეკარმა ცნობარებით დაადგინა, რომ „გამოჩენილი რუსი დიდოსტატი ცარიცინი" არ არსებობს, თვითმარქვია მოჭადრაკემ უკვე 14 პარტიის წაგება მოასწრო.. ამასთან, როგორც ამბობენ, მისდა საუბედუროდ, იგი თურმე „დიდი კომბინატორისათვის" დამახასიათებელი სიმარდით არ გამოირჩეოდა.

მასობრივი სააპრილო გათამაშების საინტერესო მაგალითი მოხდა კანადაში, ქალაქ უელენდის გაზეთი „უელენდ ტრიბუნი" ნომრიდან ნომერში ბეჭდავდა 19 წლის ვიქტორ ნოტარის მომხიბლავ ინფორმაციებს საერთაშორისო ახალგაზრდული საჭადრაკო ტურნირის შესახებ, რომელიც თითქოს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში მიმდინარეობდა და, რომელიც, ავტორის განცხადებით, მისი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა.

შემდეგ კი... რედაქცია იძულებული გახდა მკითხველისათვის ბოდიში მოეხადა. გამოირკვა, რომ სიდნეიში არავითარი საერთაშორისო ტურნირი არ მიმდინარეობდა, არც მისი ჩატარების პროექტი არსებობდა, ხოლო თვით ვიქტორ ნოტარი მშობლიური ონტარიოს პროვინციის საზღვრებს თავის ცხოვრებაში არ გასცილებია.

ნოტარისათვის ეს ისტორია იმით დამთავრდა, რომ იგი თანამშრომლობისათვის მიიწვია იმავე ონტარიოს პროვინციის უფრო დიდტირაჟიანმა და პოპულარულმა გაზეთმა „სადბერი დეილი სტარმა". საქმე ის არის, რომ ამ გამოცემის რედაქტორი ე. წ. ახალ ჟურნალიზმს აღიარებდა, რომლის დევიზია: „მთავარი ის კი არ არის, თუ რას ვწერთ, არამედ ის, თუ როგორ ვწერთ!" სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოქვეყნებული მასალის შინაარსში მთავარია არა სინამდვილის ასახვა, არამედ ის, რაც გაზეთის ხელმომწერთა რიცხვს გაზრდის.

საჭადრაკო კომპოზიციაშიც იუმორით გამსჭვალული ნაწარმოებების დიდი კოლექციაა შექმნილი. დღეს ამოსახსნელად გთავაზობთ რეტროანალიზის გამოჩენილი ოსტატის, მოსკოველი ნ. პლაკსინის ამოცანას, რომლის სიუჟეტში სახუმარო ელემენტიც არის გარეული.

**ნ. პლაკსინი, 1981**



ამ ნაწარმოების დავალებაა: „დაუმატეთ კუ და გამოაცხადეთ შამათი 1 სვლაში". იმედია, გამჭრიახობა და იუმორის გრძნობა ამოხსნას გაგიადვილებთ, ძვირფასო მეგობრებო!

ველით თქვენს პასუხებს.

**I ლიგა**

„სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნდა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების პირველი წრის კალენდარი. მასში მონაწილეობს სოხუმის „დინამოც". სოხუმელ ფეხბურთელებს პირველი შეხვედრა 17 აპრილს აქვთ ტიუმენში. ისინი გათამაშებაში ჩაებმებიან მესამე ტურიდან, მათი მეტოქეა ტიუმენის „გეოლოგი".



## ნახევარფინალების წინ

**დამთავრდა** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის კიდევ ერთი, საშუალედო ეტაპი. რვა უძლიერესი გუნდის ორწრიანი ტურნირის ბოლო მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: „ბარსელონა" (ესპანეთი) — „კომოდორე" (ჰოლანდია) 88:73, „იუგოპლასტიკა" (იუგოსლავია) — „ლეხი" (პოლონეთი) 98:73, „ლიმოჟი" (საფრანგეთი) — „ფილიპსი" (იტალია) 85:76, „არისი" (საბერძნეთი) — „მაკაბი" (თელ-ავივი) 92:94.

**გათამაშების საბოლოო ცხრილი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 14 | 12 | 2 | 26 |
| „იუგოპლასტიკა" | 14 | 11 | 3 | 25 |
| „ლიმოჟი" | 14 | 10 | 4 | 24 |
| „არისი" | 14 | 8 | 6 | 22 |
| „ფილიპსი" | 14 | 7 | 7 | 21 |
| „მაკაბი" | 14 | 6 | 8 | 20 |
| „კომოდორე" | 14 | 2 | 12 | 16 |
| „ლეხი" | 14 | 0 | 14 | 14 |

17 აპრილს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები. ერთმანეთს შეხვდებიან „ბარსელონა" — „არისი" და „იუგოპლასტიკა" — „ლიმოჟი".

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

## ჯერჯერობით მეორე ადგილზე

ალმა-ათა. როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა არმიელებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს ტალინის „კალევთან" —94:93. განმეორებით შეხვედრაში ალმაათელთა უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო — 92:84 (47:41). „კალევმა" დაამთავრა ჩემპიონატი 72 ქულით. სატურნირო ცხრილში იგი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 31 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მ.) | 42 | 31 | 11 | 73 |
| „კალევი" (ტალ.) | 44 | 28 | 16 | 72 |
| ცსკა | 37 | 32 | 5 | 69 |
| „ბუდიველ." (კ.) | 40 | 27 | 13 | 67 |
| ასკ (ალმა-ათა) | 41 | 26 | 15 | 67 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 44 | 23 | 21 | 67 |
| ვეფ (რიგა) | 40 | 23 | 17 | 63 |
| „შახტიორი" (დონ.) | 44 | 14 | 30 | 58 |
| „დინამო" (თბ.) | 42 | 13 | 29 | 55 |
| რტი (მინსკი) | 42 | 12 | 30 | 54 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 44 | 17 | 27 | 54 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 44 | 6 | 38 | 46 |

## უცხოეთის რაგბის ამბები — ჩვენი მონაწილეობით

**იმის** გამო, რომ წელს ხუთი ერის პირველობის მეხუთე ტურის გამართვის ვადა ირლანდიის ეროვნულ დღესასწაულს ამ ქვეყნის მფარველის, წმინდა პატრიკის დღეს დაემთხვა, ირლანდიისა და უელსის გუნდების შეხვედრა ერთი კვირით გვიან მოეწყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეს დუბლინში ქარიანი ამინდი იდგა და ორივე გუნდს მანამდე ნათამაშევი სამივე მატჩი წაგებული ჰქონდა, „ლენსდაუნ როუდის" სტადიონი მაინც პირთამდე გაივსო.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 14:8 (10:0). მათ მიერ გატანილ სამ ლელოს (ბ. სმითი, მაკბრაიდი, ქინგსთონი) სტუმრებმა ორით უპასუხეს (ფორდი, ჰლუელინი). გარდა ამისა, ირლანდიელთა დამრტყმელმა ქირნანმა ერთი გარდასახვაც შეაგდო.

ამ წაგებით ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ყველაზე სახელმოხვეჭილმა გუნდმა — უელსის ნაკრებმა დაკარგა ერთი უნიკალური მიღწევა: საქმე ისაა, რომ პირველობის დანარჩენი მონაწილეებისაგან განსხვავებით, წლევანდლამდე უელსელებს შეჯიბრება უქულოდ არ დაუმთავრებიათ. და აი, წელს მათ, „როგორც იქნა", წააგეს ოთხივე შეხვედრა.

61-ე გათამაშების საბოლოო ცხრილი ასე გამოიყურება (მეოთხე სვეტი გატანილი და გაშვებული ლელოების თანაფარდობას უჩვენებს):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 6:3 | 8 |
| ინგლისი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:3 | 6 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 4 |
| ირლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:11 | 2 |
| უელსი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:13 | 0 |

შოტლანდიის ნაკრებმა, რომელსაც „ბრიტანელი ლომების" მწვრთნელი იან მაქგიქანი ხელმძღვანელობდა, მეათედ მოიპოვა „ხუთი ერის" ჩემპიონობა. რაკილა გამარჯვებულებმა ოთხივე მეტოქე დაამარცხეს, სიმბოლურად მათ კიდევ ერთი ჯილდო, ე. წ. დიდი სლემიც ერგოთ. გარდა ამისა, ინგლისელების ძლევით შოტლანდიელებმა დაიბრუნეს „კალკუტის თასი" — ჯილდო, რომელიც ინგლისსა და შოტლანდიას შორის გამარჯვებულისთვისაა დაწესებული. და მაინც, წლევანდელი ტრიუმფის მიუხედავად, როგორც ჩემპიონატში გამარჯვების, ასევე მოგროვილი ქულების რაოდენობით შოტლანდიელები კვლავაც ჩამორჩებიან ოთხივე მეტოქეს.



* * *

20 მარტს საზეიმოდ გამოცხადდა ნამიბიის დამოუკიდებლობა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს სპორტული ასპარეზობებიც მიეძღვნა. კვირას ქვეყნის დედაქალაქ ვინდჰუკში ნამიბიის ეროვნულმა ნაკრებმა ნათლობის მატჩში უმასპინძლა ზიმბაბვეს გუნდს და გაიმარჯვა — 38:18.

სულ მალე, მაისში, ნამიბიაში ტურნეს გამართავს უელსის ნაკრები. რაც შეეხება ზიმბაბვეს, 10 აპრილიდან 23 აპრილამდე ამ ქვეყანაში თავის პირველ საზღვარგარეთულ ტურნეს გამართავს **საქართველოს ეროვნული ნაკრები.** ჩვენები მასპინძლებს ოთხჯერ ეთამაშებიან: ორჯერ მეტოქედ პროვინციული გუნდები ეყოლებათ, ორჯერაც — ზიმბაბვეს ეროვნული ნაკრები. ზიმბაბვურ ტურნეში საქართველოს ნაკრების მწვრთნელ დავით კილასონიას გუნდის შემადგენლობის გამოცხადება 6 აპრილისთვის აქვს განზრახული.

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1990 წლის მე-12 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო" 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.993.845 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (58) მოგება 1.207 მანეთია, ოთხისთვის (2.797) — 32, სამისთვის (46 509) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 52.664 ვარიანტი. 6-0, 5-1 (თბილისი), 4-42, 3-1. 207.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 20.133.580 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (26) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.254) — 147, სამისთვის (229.702) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 627.913 ვარიანტი. 5-2 (წალენჯიხა, ოზურგეთი), 4-201, 3-6.862.

მე-12 და მე-3-დან მე-12 ტირაჟების ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 14 აპრილიდან 14 მაისის ჩათვლით.

**რედაქტორი**
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**„შევარდენის" სტადიონი**
**(ბ. ხმელნიცკის ქუჩა, № 40)**

4 აპრილი

**ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**„შევარდენი"** (თბილისი) — **„ქუთაისი"** (ქუთაისი)

დასაწყისი 18 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 3, 4 აპრილს დილის 10 საათიდან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-28, „მარჯვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779